საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება

თბილისი

2007

I. ფაკულტეტის მისია, მიზნები და ამოცანები

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთ-ერთ დანაყოფს, რომელიც ამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის დარგებისათვის.

ტრანსპორტი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი და მარად განვითარებადი დარგია, რომლის წინსვლა ერთიანი სატრანსპორტო სისტემის სახით ეფუძნება მისი ყველა სახის (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო და სხვა) და ინფრასტრუქტურის (გზები, ლიანდაგები, ხიდები, გვირაბები და სხვა) ჰარმონიულ შერწყმას. ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის ასევე დიდია თანამედროვე დონის სამანქანათმშენებლო წარმოების ობიექტების შექმნა და მათი წარმატებული მუშაობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისიას წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის აღნიშნულ დარგებთან მიმართებაში უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, მათი საჭირო ხარისხისა და რაოდენობის სპეციალისტებითა და მეცნიერული კვლევის შედეგებით უზრუნველყოფისათვის.

ფაკულტეტის მიზნებია: ევროპული განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისი დონის მქონე სპეციალისტების (უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე დიპლომირებული სპეციალისტები, ბაკალავრები, მაგისტრები, დოქტორანტები) მომზადება და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის შექმნა.

ფაკულტეტის ამოცანებია: სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება; პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების – ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება; ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის დარგების სპეციალისტთა პროფესიული სრულყოფა და გადამზადება; უწყვეტი განათლების პრინციპების განხორციელება; სასწავლო პროცესთან სამეცნიერო საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისათვის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტების ჩაბმა; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების სასწავლო პროცესში და წარმოებაში დანერგვა; მონათესავე პროფილის სასწავლო და საწარმოო დაწესებულებებთან შემოქმედებითი ურთიერთობის უზრუნველყოფა ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით; სხვადასხვა სახის გრანტების მოზიდვა მაღალი დონის

მეცნიერებატევადი კვლევების ჩასატარებლად; სტუდენტთა და თანამშრომელთა მობილურობისათვის მხარდაჭერა.

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი ამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის შესაბამისად დაგენილ მიმართულებებსა და სპეციალიზაციებში. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს სატრანსპორტო და სამანქანათმშენებლო დარგების საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და დაწყებით პროფესიულ განათლებას.

II. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით აყალიბებს თავის სტრუქტურას.

2. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ოთხი დეპარტამენტი: საინჟინრო გრაფიკის და ტექნიკური მექანიკის, მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო და საგზაო; აგრეთვე ტრანსპორტის პრობლემათა ცენტრი, კომპიუტერული ცენტრი, სასწავლო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და არქივი. შესაძლებელია სამეცნიერო ცენტრების, სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების, ლაბორატორიების და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ორგანიზება.

III. ფაკულტეტის მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილება

1. ფაკალუტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმართველობის არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4 –ზე ნაკლები და 1/3 –ზე მეტი.

2. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს.

3. თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს.

4. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს.

5. დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

6. შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

7. ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური, წარმომადგენლობითი საბჭოების წევრებს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.

8. ამტკიცებს ფაკულტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს.

9. დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ამტკიცებს ფაკულტეტის ორგანიზაციული და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.

10. ახორციელებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

IV. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც სრულ პროფესორთა შემადგენლობიდან (გამონაკლისის სახით ასოცირებულ პროფესორთა შემადგენლობიდან) ოთხი წლის ვადით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო (არჩევნების პროცედურა რეგულირდება ფაკულტეტის დეკანის არჩევის საუნივერსიტეტო დებულებით). დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

2. უშუალოდ ხემძღვანელობს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ეფექტიანად მიმდინარეობას.

3. შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას.

4. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ და სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებსა და განკარგულებებს).

5. თავჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს.

6. ხემძღვანელობს ფაკულტეტზე სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას.

7. “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა კანონებისა და ამ დებულების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე.

8. წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

9. მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ფაკულტეტის სახელით დებს/აუქმებს ხელშეკრულებებს.

10. ახორციელებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

V. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო – კვლევითი მუშაობის, ასევე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლებლის შესაბამის სამსახურებთან, რათა სრულყოს ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმები და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგია.

3. უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით ადგენს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზე ახდენს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;

4. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით;

5. უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას აკრედიტაციის პროცესისთვის;

6. რეგულარულად აცნობს ფაკულტეტის საბჭოს თავისი მუშაობის შედეგებს.

7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია:

7.1. სტუ – ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ზოგადი პრინციპებისა და მეთოდების ფაკულტეტზე დანერგვა;

7.2. საგანმანათლებლო პროგრამების და დისციპლინების შინაარსისა და სწავლების ხარისხის დონის ამაღლება.

8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს სტუ – ს წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად;

9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია:

9.1. აკრედიტაციისათვის თვითშეფასების მასალების მომზადება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;

9.2. სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელება;

9.3. განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით სამეცნიერო და მეთოდური სემინარების ჩატარება;

9.4. კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) დანერგვა;

9.5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებების განხილვა და მათი დანერგვა;

9.6. ფაკულტეტის ფარგლებში კონკურსების ორგანიზება საუკეთესო სტრუქტურული ქვედანაყოფების, პროგრამების, დისციპლინის, სახელმძღვანელოს, მასწავლებლის, სტუდენტის და ა.შ. გამოვლენის მიზნით;

9.7. კავშირების დამყარება პროფესიულ გაერთიანებებთან, ორგანიზაციებთან, სასწავლო პროგრამების დამუშავებაში, მოდერნიზაციასა და შეფასებაში მათი ჩართვის მიზნით, აგრეთვე სტუდენტების პრაქტიკის, სტაჟირებისა და დასაქმების უზრუნველსაყოფად;

9.8. ურთიერთობების დამყარება სხვა სასწავლო დაწესებულებებთან და მათ გაერთიანებებთან (მათ შორის საერთაშორისო), საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით;

10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით უფლებამოსილია შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფები (მუდმივი ან დროებითი), რომლებშიც გაერთიანებული არიან ფაკულტეტის თანამშრომლები ან/და მოწვეული სპეციალისტები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები.

11. ფაკულტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში (დეპარტამენტები, მიმართულებები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები და ა. შ.) საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელნი არიან ქვედანაყოფების ხელმძღვანელები.

VI. სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შედგენის, თავჯდომარის არჩევის წესსა და კრიტერიუმს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

3. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სრული და ასოცირებული პროფესორებისაგან.

4. სადისერტაციო საბჭოს დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს და პირობებს.

5. სადისერტრაციო საბჭო მოქმედებს დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს ტრანსპორტის და მანქანათმშენებლობის დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია ამავე დებულებით.

VII. დეპარტამენტი

1. დეპარტამენტი არის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელშიც ერთიანდება, რამოდენიმე მონათესავე მიმართულება.

2. დეპარტამენტი ექვემდებარება ფაკულტეტის დეკანს.

3. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ამავე დეპარტამენტის სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საუძველზე, არაუმეტეს 4 წლის ვადით. დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

4. დეპარტამენტის უფროსის მოვალეობაა:

4.1. უზრუნველყოს სტუდენტთა მომზადება პროფესიული და კვლევაზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის ყველა დონეზე მიმართულებების მიხედვით;

4.2. ერთიანი საბაზისო მომზადების პრინციპით კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ESTS) შესაბამისად პროფესიული უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საკვალიფიკაციო დახასიათებების შედგენის, მიმართულებებისათვის კურიკულუმების შემუშავებისა და

დანერგვისათვის საჭირო მეთოდური მასალების მომზადების და შებამისი კონცეფციების ჩამოყალიბების ხელმძღვანელობა;

4.3. მიმართულებების მიხედვით სასწავლო კურსების საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო ნირმატიული დოკუმენტების ერთობლივი პაკეტის ფორმატის ჩამოყალიბების კოორდინაცია;

4.4. დეპარტამენტში შემავალ მიმართულებებში ტესტირებისა და გამოცდების ერთიანი წესით ორგანიზების ხელმძღვანელობა, საგამოცდო პროცესის სრულყოფა და კონტროლის ორგანიზაცია;

4.5. მიმართულებების კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმებისათვის დარგის წამყვან წარმოებებთან ურთიერთკავშირის დამყარება;

4.6. სამუშაო გეგმების და მეთოდური მასალების მომზადების კოორდინაცია დეპარტამენტში შემავალი მიმართულებების ეფექტური მუშაობის და სასწავლო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა;

4.7. დეპარტამენტის შემადგენელ მიმართულებებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების შედგენის და გრანტების მოსაპოვებლად სათანადო ფონდების მოძიებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების ხელმძღვანელობა;

4.8. სტუდენტთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში მონაწილეობის ორგანიზაცია;

4.9. მიმართულებების მიხედვით სადოქტორო პროგრამების შემუშავების და სადოქტორო დისერტაციების დაცვისათვის მომზადების კოორდინაცია;

4.10. მიმართულებების ხელმძღვანელებების პერიოდული ანგარიშების, ინფორმაციების მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

VIII. მიმართულება

1. მიმართულება ფაკულტეტის დეპარტამენტში შემავალი სასწავლო-სამეცნიერო და ორგანიზაციული ერთეულია, რომელიც შედგება აკადემიური პერსონალისგან და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამას (კურიკულუმი), სასწავლო კურსებს (სილაბუსი), მოდულებს.

2. მიმართულების კომპეტენციაში შედის სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური საქმიანობა, სპეციალისტების, სამაცნიერო და აკადემიური პერსონალის მომზადება და

გადამზადება იმ დარგის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, რომელსაც ის ემსახურება.

3. საქმიანობის სფეროებია: მიმართულების აკადემიური პერსონალის შემადგენლობის ფორმირება შესაბამისი სპეციალისტებით; კურიკულუმიბისა და სილაბუსების შედგენა; საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით; სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა; სასწავლო, სადიპლომო და საწარმოო პრაქტიკების ორგანიზაცია; დამთავრებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების განხილვა; დამთავრებული სადოქტორო სამუშაოების განხილვა რეკომენდაციის მიცემის მიზნით; გამოცდებისა და ტესტირების ჩატარების ორგანიზება სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნით; საგამოცდო ფურცლებისა და უწყისების რეგისტრაცია.

4. მიმართულებას ხელმძღვანელობს სრული პროფესორი, რომელიც ამტკიცებს მუშაობის საერთო გეგმას, აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ გეგმებს და სხვა დოკუმენტებს მიმართულების დონეზე, ანაწილებს აკადემიურ დატვირთვებს და ფუნქციონალურ მოვალეობებს თანამშრომლებს შორის.

5. მიმართულების ხელმძღვანელი ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ ფაკულტეტის დეკანის და დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე, არაუმეტეს 4 წლის ვადით. მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

6. მიმართულების სტრუქტურა უშუალოდ ექვემდებარება დეკანსა და შესაბამისი დეპარტამენტის უფროს.

7. მიმართულების ხელმძღვანელი უზრუნველყოს არქივისა და ბიბლიოთეკის ნორმალურ ფუნქციონირებას, მიმართულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვას, მის განახლებას, მიმართულების თანამშრომელთა შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას.

8. მიმართულების ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ მიერ გამოშვებული კურსდამთავრებულის კვალიფიკაციაზე.

IX. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტს შეადგენს მის მიერ მოზიდული შემოსავლები პროფესიული სწავლების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიდან, ასევე ნებისმიერი სხვა შემოსავალი, რომელიც მოზიდულია ფაკულტეტის მიერ და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

2. ფაკულტეტს გააჩნია თავისი ქვეანგარიში.

3. ფაკულტეტი საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით წყვეტს მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. ფაკულტეტის ბიუჯეტი მუშავდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და გადაეცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნაერთ ბიუჯეტში ჩასართავად. თუკი ბიუჯეტის განაწილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჩართავს მას ნაერთ ბიუჯეტში და აკადემიური საბჭოს თანხმობით წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

5. ფაკულტეტის ბიუჯეტს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. წარმომადგენლობით საბჭოს არა აქვს უფლება ფაკულტეტთან შეთანხმების გარეშე ცვლილება შეიტანოს ფაკულტეტების ბიუჯეტში.

6. უნივერსიტეტის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში საბიუჯეტო წლის განმავლობაში ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მთლიანი ასიგნების 7%-ის ფარგლებში დეკანის გადაწყვეტილებით ფაკულტეტისა და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებების გარეშე.

7. ნაერთ ბიუჯეტში ცვლილება, რომელიც შეეხება ფაკულტეტის ბიუჯეტს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.

X. დასკვნითი დებულებები

1. ეს დებულება ამოქმედდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.